ტენდერი სავარჯიშო მოწყობილობის (ე.წ. ტრენაჟორი) შესყიდვასთან დაკავშირებით

1. სავარჯიშო მოწყობილობა 1 (ერთი) ერთეული, სიმაღლე 2.00 მეტრიდან 2.50 მეტრამდე.
2. ფუნქციონალი - სავარჯიშო მოწყობილობა იძლეოდეს სხეულის სხვადასხვა კუნთოვანი ჯგუფის ვარჯიშის საშუალებას, მათ შორის: ზურგის კუნთების ვარჯიში, კაბელებით მრავალმხრივი ვარჯიში, მკერდის, მხრებისა და ხელების კუნთების ვარჯიში.
3. დატვირთვასთან დაკავშირებით ტენდერში მონაწილე კომპანიამ მოგვაწოდოს ინფორმაცია - თითოეული სადგურის მაქსიმალური წონითი დატვირთვა, მაქსიმალური დასაშვები დატვირთვა მომხმარებლისთვის.
4. ნებისმიერი ფერი - პრეტენდენტმა შემოგვთავაზოს.

ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები:

1. სავარჯიშო მოწყობილობა უნდა იყოს განკუთვნილი სავარჯიშო დარბაზისთვის.
2. უნდა გააჩნდეს ოთხი ან სამი დამოუკიდებელი სავარჯიშო სადგური, რაც შესაძლებელს გახდის რამდენიმე მომხმარებლის ერთდროულად ვარჯიშს.
3. მოწყობილობა უნდა იყოს დამოუკიდებელი წონითი, ბლოკები დატვირთვის რეგულირების შესაძლებლობით.
4. უზრუნველყოს სხეულის სხვადასხვა კუნთოვანი ჯგუფის ვარჯიშს, მათ შორის ზურგის, მკერდის, მხრებისა და ხელების კუნთების დატვირთვა.
5. უნდა გააჩნდეს ლითონის კონსტრუქცია, გამძლე კაბელებისა და გორგოლაჭების სისტემა და წონითი ბლოკების უსაფრთხო ფიქსაციის მექანიზმი.
6. მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ტექნიკური დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება ტრენაჟორის ზომები, წონითი ბლოკების მასა, მაქსიმალური დასაშვები დატვირთვა და ძირითადი ფუნქციები.
7. მომწოდებელმა უნდა მიუთითოს საგარანტიო ვადა, საგარანტიო მომსახურების პირობები და სათადარიგო ნაწილების ხელმისაწვდომობა.
8. სავარჯიშო მოწყობილობის მიწოდება უნდა მოიცავდეს, რაიონში მიტანის სერვისს, მონტაჟს, გამართულ მდგომარეობაში ჩაბარებასა და მომხმარებლისთვის გამოყენების ინსტრუქციის გადაცემას.

მრავალფუნქციური სავარჯიშო მოწყობილობა მაგალითისთვის უნდა იყოს შემდეგნაირი:

მრავალფუნქციური სავარჯიშო დანადგარი	MULTI-STATION 4 STACK